ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრინჯაოდან-თიბისიმდე
FROM BRONZE TO TBC

TBC VIP

TBC art GALLERY
თიბისი არტ გალერეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიბისი ბანკი და **თიბისი არტ გალერეა**
გიწვევთ გამოფენის
"ბრინჯაოდან-თიბისიმდე" გახსნაზე
2014 წლის 7 ნოემბერს, პარასკევს, ~~19~~ საათზე 19 30
გამოფენა გაგრძელდება 2014 წლის 1 დეკემბრამდე
გალერეის მუშაობის საათები: ორშაბათი-პარასკევი 12-20სთ, შაბათი 12-14სთ
მისამართი: თიბისი ბანკის სათავო ოფისი,
მარჯანიშვილის ქ. 7, თბილისი
ტელ. +995 322 272727/10-13/

TBC BANK and **TBC ART GALLERY**
Request the pleasure of your company at the opening of
Exhibition **"FROM BRONZE TO TBC"**
Friday, November 7, 2014, at 7 p.m.
The exhibition continues till 1 December
Gallery working time: Monday-Friday 12a.m. to 8p.m.,
Sunday 12a.m. to 2p.m.
Address: TBC Bank Building,
7 Marjanishvili Str., Tbilisi
Phone: +995 322 272727/10-13/

- ექსპოზიციაში წარმოდგენილია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ბალთების (ძვ.წ.ა. VIII-VI – ახ.წ.ა.I-III სს) კოლექცია
- ექსპონატები აღმოჩენილია რაჭის რეგიონში 1939-2010 წლებში და პირველად იფინება ფართო საზოგადოების წინაშე თბილისში, კერძო საგამოფენო სივრცეში
- გამოფენის მიზანია 1991 წელს რაჭაში მიწისძვრისგან დაზიანებული მუზეუმის მხარდაჭერა, იქ დაცული კოლექციების მოვლა და პოპულარიზაცია

- The exhibition presents the collection of bronze buckles (VIII-VI BC – I-III AD) kept in the Oni Local Lore Museum, Georgia
- The relics were discovered in Racha region in 1939-2010 and this is the first time they are displayed for the wider public, in private gallery space and in Tbilisi
- The exhibition aims to support the museum that was damaged after the 1991 Racha earthquake, also the maintenance and popularization of the collections kept there

TBC VIP

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ბატონო ემზარ

გვინდა გაცნობოთ, რომ თიბისი ბანკი აგრძელებს ქართული კულტურისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მხარდამჭერ პროექტებს. ამჯერად, თიბისი ბანკს აქვს პატივი უმასპინძლოს ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ჭვირული ბალთების უნიკალურ კოლექციას, რომლის ექსპონატების ასაკი ძვ.წ.-ის VIII-VI საუკუნეებიდან ახ.წ.აღ-ის I-III საუკუნეებამდე განისაზღვრება.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა სამუზეუმო ექსპონატები კერძო საგამოფენო სივრცეში იფინება და ფართო საზოგადოებას საშუალება ეძლევა ისინი თბილისში იხილოს.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი იქნება საქართველოში, მთიანი რაჭის რეგიონში აღმოჩენილი 18 არტეფაქტი - გვიანი ბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის კოლხური წარმოშობის ბალთები, რომელთა კომპოზიციები ცენტრალური ფანტასტიკური ცხოველებითა და ზოომორფული გამოსახულებებით ყოვლისმომცველი იშთარის ღვთაების ქართულ ვერსიას - "დედა-ღვთაება ნანას" განსახიერებენ. მისი პარალელები ეგეოსურ და წინა აზიურ ღვთაებათა პანთეონში მოიძიება.

საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთებით დაინტერესება სამეცნიერო წრეებში ჯერ კიდევ XIX ს-ის 30-იან წლებში დაწყებულა. ამ პერიოდში შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობის გამო, ბევრი ექსპონატი უკონტროლოდ გაიტანეს საზღვარგარეთ. სწორედ ასე აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭვირული ბალთები ევროპისა და ამერიკის კერძო კოლექციებსა და მუზეუმებში. დღეს ისინი დაცულია ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში, ბრიტანეთის მუზეუმში, ვენის საბუნებისმეტყველო მუზეუმში, ჟენევის მუზეუმში, კიევის ისტორიულ მუზეუმში, ერმიტაჟში, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, საფრანგეთის არქეოლოგიის ეროვნულ მუზეუმში, პარიზის აზიური ხელოვნების მუზეუმში. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი შეუსწავლელია და შესაბამისად, კავკასიური კულტურის კონტექსტშიც არ მოიზრება.

თიბისი ბანკში წარმოდგენილი ონის მუზეუმის კოლექცია ყველაზე დიდია. დღესდღეობით, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სავალალო მდგომარეობაშია. რამდენიმე სერიოზულმა მიწისძვრამ მუზეუმის შენობა საკმაოდ დააზიანა. განადგურება ემუქრება იქ დაცულ უმნიშვნელოვანეს (14 000 არტეფაქტი) არქეოლოგიურ, ნუმიზმატიკურ, პალეონტოლოგიურ, ზოოლოგიურ, ეთნოგრაფიულ ექსპონატს.

გამოფენის "ბრინჯაოდან-თიბისიმდე" მიზანია რაჭაში აღმოჩენილი ბრინჯაოს უნიკალური კოლექციის პოპულარიზაცია, უცხოეთში მოხვედრილი არტეფაქტების შესწავლა და იდენტიფიკაცია, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დახმარება.

გამოფენა გაიხსნება 2014 წლის 7 ნოემბერს, 19:30 საათზე.

გამოფენა გაგრძელდება 2014 წლის 1 დეკემბრამდე

პატივისცემით
ნატა ბურციძე
თიბისი ბანკის ვიპ სამსახურის უფროსი

7, Marjanishvili St.
0102 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 227 27 27
Fax: +995 32 227 27 67
vip@tbcbank.com.ge
www.tbcbank.ge